# საექსპერტო შეფასება

**ანგარიშზე:** ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი II ჩიხი N2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბანზე (ს/კ: 01.10.17.010.038) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები.

შპს ,,სამშენებლო ინვესტიციები პეკინზე"-ს ( ს/ნ: 405172012) დაკვეთით, ჩვენს მიერ 2019 წლის ნოემბერში შემოწმებულ იქნა ქ. თბილისში გამსახურდიას გამზირი II ჩიხი N2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბანზე (ს/კ: 01.10.17.010.038) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

**შემოწმების მიზანი:** დადგინდეს ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი II ჩიხი N2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბანზე (ს/კ: 01.10.17.010.038) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია: შპს ,,გეოინჟკომპლექსი"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2019 წლის ივლის-აგვისტოში. სამუშაოების უშუალო შემსრულებელია ინჟ. გეოლოგი მ. მამუკაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებათა გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი.

**საექსპერტოდ წარმოდგენილია:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე | 9 გვ; |
| 2. | ტექნიკური დავალება | 1 გვ; |
| 3. | მიწერილობა | 1 გვ; |
| 4. | ცხრილი გრუნტების თვისებებზე | 2 გვ; |
| 5. | ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე დასკვნით | 4 გვ; |
| 6. | მოედნის ტოპოგეგმა | 1 ფ. |
| 7. | სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები | 1 გვ; |
| 8. | მოედნის გეოლოგიური ჭრილი | 4 ფ. |

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა ბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 44,5 მეტრს. ჭაბურღილიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 ში - ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 ში - თიხნარი, თაბაშირიანი, ხვინჭის 10-30% -მდე შემცველობით;
3. ფენა 3 ში - ძირითადი ქანი, არგილითები ალაგ-ალაგ თიხოვანი ქვიშაქვების თხელი შუაშრეებით, გამოფიტული;
4. ფენა 4 ში - ძირითადი ქანი, არგილითებისა და ალაგ-ალაგ თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობა, სუსტად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგია გეოლოგია და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური შესწავლილობა. მოცემულია ქანების თვისებები და მათი ცვლილება დროში გამოთვლილია ქანების ნორმატიული და საინჟინრო გეოლოგიური მაჩვენებლები. ძირითადი ქანები წარმოდგენილი არის არგელითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. მათი წოლის ელემენტებია ჩრდილო-დასავლეთი 355 გრადუსი ხოლო ქანების დახრის კუთხე 20 გრადუსს შეადგენს. მოცემულია კლდოვანი ქანების სიმტკიცის ზღვრი ერთღერძა კუმშვაზე, ცალკე არგელითებისათვის და ცალკე ქვიშაქვისათვის. ავღნიშნავთ, რომ მორიგეობაში ჭარბობს არგელითები. შეფარდება ასეთია 2:1. ტერიტორია მდგრადია და უარყოფითი საინჟინრო გეოლოგიურ პროცესების განვითარება არაა მოსალოდნელი. ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნული არის, რომ გრუნტის წყალი გახსნილ იქნა მიწის ზედაპირიდან 3,8 – 4,2 მეტრ სიღრმეზე. წყალი იჩენს სხვადასხვა ინტენსივობის აგრესიას სხვადასხვა ცემენტიდან დამზედებულ ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

## დასკვნა

ქ. თბილისში გამსახურდიას გამზირი II ჩიხი N2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენევბლობის უბანზე (ს/კ: 01.10.17.010.038) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარისი იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებილი,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი გ. ჭოხონელიძე

19.XI.2019

# CV - ჭოხოწელიძე გუგა

| | |
|---|---|
| გვარი, სახელი, მამის სახელი | ჭოხოწელიძე გუგა ილიას ძე |
| ბინის ტელეფონის ნომერი | ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25<br>ტელ.: 2-22-00-44 |
| დაბადების თარიღი | 1928 წლის 16 თებერვალი |
| განათლება | 1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა,<br>1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ საშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით,<br>1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი,<br>ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. |
| მიღწეული კვალიფიკაცია | 1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი)<br>1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი)<br>2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი |
| საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება | 1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;<br>1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში;<br>1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი |
| გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები | გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფი „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.)<br>შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის სობუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობას დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე.<br>ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა:<br>„გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და<br>„ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.).<br>ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ.<br>„შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“. |
| უცხო ენების ცოდნა | ქართული - მშობლიური;<br>რუსული - კარგად;<br>ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით |

# ДИПЛОМ
## ДОКТОРА НАУК

МШ № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол N 18)

*Сохиашвили Гуге Ильичу*

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

# დიპლომი

Я. № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე ჯოხონელიძეს

მასზე, რომ იგი 1967 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1972 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ. „30" ივნისის გადაწყვეტილებით გ.ი. ჯოხონელიძეს მიენიჭა სამთო ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი [signature]

მდივანი [signature]

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский из.

# საქართველოს რესპუბლიკა

## მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი გიგა

გვარი ჭიბონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ------

N° ღ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ------

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვემოგანყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ------

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

# ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5006861219
27/10/2019 წ.

5006861219

შპს „სამშენებლო ინვესტიციები პეკინზე" -ს წარმომადგენელს ბნ გიორგი ვაჩეიშვილს

(საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ცაგარელის ქ., N 57, ბ. 1ა)

ბატონო გიორგი,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2019 წლის 4 ოქტომბრის რეგისტრაციის N1008828719) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N007534919 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია - ერთი ფუთა (ერთი ალბომი)

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchavadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5006861219

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 28.10.2019 (ხელმოწერა) გ.ა



007534919

**ექსპერტის დასკვნა № 007534919**

## გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმცხადებელ ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

**დამნიშნავი:**

ორგანიზაცია: შპს სამშენებლო ინვესტიციები პეკინზე

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ცაგარელის ქ., N 57, ბ. 1ა

სახელი და გვარი: გიორგი ვაჩეიშვილი

საფუძველი: განცხადება

**შემსრულებელი ექსპერტები:**

გაბრიელ ჭინჭარაული / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) მოწვეული სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის 43 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაგვიტაროთ ექსპერტიზა თქვენთან მიმდინარე წელს ჩატარებულ ექსპერტიზაზე #1007188519, რომელშიც განგვისაზღვრეთ შენიშვნები. წარმოგიდგენთ განმარტებებს და ჩასწორებული გეოლოგიური კვლევის შედეგებს.

შემოსვლის თარიღი: 04/10/2019 წ

გასვლის თარიღი: 27/10/2019 წ

## დასკვნა

შპს „გეოინჟკომპლექსი"-ს მიერ ქ. თბილისში გამსახურდიას გამზირის II ჩიხი #2-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბანზე (ს/კ #01.10.17.010.038) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს და შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ქ. თბილისში გამსახურდიას გამზირის II ჩიხი #2-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტს გეოლოგიურ ნაწილში.

გაბრიელ ჭინჭარაული

## გამოკვლევა

განმეორებითი ექსპერტიზით განიხილება ქ. თბილისში გამსახურდიას გამზირის II ჩიხი #2-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბანზე (ს/კ #01.10.17.010.038) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია.

აღნიშნული დოკუმენტაციის თავდაპირველ ვარიანტთან დაკავშირებით ექსპერტიზის ბიუროს მიერ, მიმდინარე წლის 01

007534919

**ექსპერტის დასკვნა № 007534919**

ოქტომბერს გაცემულია საინჟინრო ექსპერტიზის #006900919 დასკვნა, რომელშიც დოკუმენტაციის საერთო დადებით შეფასებასთან ერთად, მის მიმართ გამოთქმული იყო ცალკეული შენიშვნები და რეკომენდირებული იყო მათი გათვალისწინება.

ავტორებმა განიხილეს გამოთქმული შენიშვნები, საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევების ტექნიკურ დოკუმენტაციაში შეტანილი იქნა ცვლილებები და კორექტირებული სახით წერილობით პასუხებთან ერთად კვლავ არის წარმოდგენილი ექსპერტიზაზე.

კორექტირებული დოკუმენტაციისა და შენიშვნებზე პასუხების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ავტორების მიერ შენიშვნები გათვალისწინებულია და დოკუმენტაციაში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები;

ამრიგად, შპს „გეოინჟკომპლექსი"–ს მიერ ქ. თბილისში გამსახურდიას გამზირის II ჩიხი #2-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბანზე (ს/კ #01.10.17.010.038) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს და შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ქ. თბილისში გამსახურდიას გამზირის II ჩიხი #2-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტს გეოლოგიურ ნაწილში.

გაბრიელ ჭინჭარაული

**გამოყენებული მასალები**

შპს „გეოინჟკომპლექსი"–ს მიერ მომზადებული „ქ. თბილისში გამსახურდიას გამზირის II ჩიხი #2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბანზე (ს/კ #01.10.17.010.038) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების კორექტირებული ვარიანტი.

**გამოყენებული (ლიტერატურა , სტანდარტები , რეგლამენტები ...)**

1. საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის ს.ნ. და წ. 1.02.07-87;

2. ს.ნ. და წ. შენობების და ნაგებობების ფუძეები (ას. 02.01-08), ს.ნ. და წ. 2.02.01-83;

3. სახ.სტანდარტი 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია;

4. სეისმომედეგი მშენებლობა ს.ნ. და წ. ას 01.01-09;

5. სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან 2.03.11-85.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

# ბანმარტებები საექსპერტო დასკვნაზე

ობიექტი: ქ. თბილისში, ბამსახურდიას ბამზირის II ჩიხი №2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

| შენიშვნა | პასუხები |
|---|---|
| 1. ტექნიკურ ანგარიშში მოცემული არ არის სამშენებლო უბნის საანგარიშო სეისმურობა. | 1. შენიშვნას ვითვალისწინებთ. დასკვნის პუნქტში პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად მითითებულია, რომ ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში და უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.<br>პუნქტის ბოლოს არ არის აღნიშნული უბნის საანგარიშო სეისმურობა 8 ბალი, რომელიც დაემატა ტექნიკურ ანგარიშს. |
| 2. საკვლევ სამშენებლო უბანზე გაბურღული №№2 და 4 ჭაბურღილების სიღრმეები ვერ აკმაყოფილებს მიწერილობის პირობას და სნ და წ 1.02.07-87-ის ცხრ.37-ის მე-2 შენიშვნის მოთხოვნას. ისინი ჩაღრმავებული არ არის ძირითადი ქანების სუსტად გამოფიტულ ზონაში (ფენა 4). | 2. შენიშვნას ვითვალისწინებთ. №1 და №3 ჭაბურღილები გაყვანილია მიწერილობით გათვალისწინებულ სიღრმემდე, ხოლო №2 და №4 ჭაბურღილების ჩაყვანა ძირითადი ქანების სუსტად გამოფიტულ ფენამდე არ შესრულებულა განყოფილებაში არსებული საფონდო მასალების მონაცემების თანახმად, უბნის ერთგვაროვანი გეოლოგიური აგებულების გამო. ფონდურ მასალად გამოყენებულია უბნის მიმდებარედ, შემდეგი ობიექტების მასალები:<br>– იყალთოს ქ.№3 საცხოვრებელი სახლი, საარქივო№33ბ/269;<br>– გამრეკელის შესახვევი №4, საცხოვრებელი სახლი, საარქივო №32ბ/323;<br>– 26 მაისის მოედანზე შპს „აჭარა“ საარქივო №32ბ/329;<br>– ფანასკერტელის ქ.№12, საცხოვრებელი სახლი, საარქივო №32ბ/356;<br>– დოლიძის ქ.№24, საცხოვრებელი სახლი. დაკვეთის №38/2015. |

| | |
|---|---|
| 3. ტექნიკურ ანგარიშს დართული არ აქვს გამოყენებული ფონდური მასალების, ლიტერატურის და ნორმატიული დოკუმენტების ერთიანი სია. | 3. შენიშვნას ვითვალისწინებთ ნორმატიული დოკუმენტების და ლიტერატურის დასახელება მოცემულია ანგარიშის ტექსტური ნაწილის ბოლოში. |

შპს „გეოინკომპლექსის“
დირექტორი ზ. კვაჭანტირაძე

მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

INFO@EXPERTIZA. GOV.GE

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave. Tbilisi 0162
ქუთაისი 4600, ჭავჭავაძის ქ. №2ა
Chavchavadze str #2a Kutaisi 4600
ბათუმი 6000, მელიქიშვილის ქ. №102
102 P.Melikishvili str. Batumi 6000

(995 32) 225 84 84
info@expertiza.gov.ge